# დაიჯესტი

31 ივლისი - 6 აგვისტო, 2021

TRC
ტერორიზმის კვლევითი ცენტრი
Terrorism Research Center

## ამერიკის შეერთებული შტატები

ამერიკის შეერთებული შტატების შიდა უსაფრთხოების დეპარტამენტის განცხადებით, პრევენციის პროგრამების და პარტნიორობის ცენტრის (CP3) შექმნა ტერორიზმთან ბრძოლის კუთხით გადადგმულ უმნიშვნელოვანეს ნაბიჯს წარმოადგენს. ამასთანავე, უწყების განმარტებით, ისინი განსაკუთრებული სიფრთხილით აკვირდებიან ისეთ ექსტრემისტულ ჯგუფებს როგორებიცაა QAnon და "ამაყი ბიჭები".

ამერიკის შეერთებული შტატების სახელისუფლებო წარმომადგენლების განცხადებით, დაეში კვლავ აქტიურია სირიასა და ერაყში, თუმცა მისგან მომდინარე საფრთხე დაბალია. ამავე განცხადების მიხედვით, დაეში პარტიზანულ თავდასხმებს ახორციელებს სირიის ტერიტორიაზე და ცდილობს ახალგაზრდების რეკრუტირებას ალ ჰოლის ბანაკიდან.

ავღანეთში დაღუპული ამერიკელი ჯარისკაცების ოჯახები Deutsche Bank, Standard Chartered და Danske Bank უჩივიან. მათი მტკიცებით, აღნიშნულმა ბანკებმა მომსახურება გაუწიეს ტერორისტულ ჯგუფებტან დაკავშირებულ კომპანიებს.

## გაერთიანებული სამეფო

გაერთიანებული სამეფოს უზენაესი სასამართლოს დადგენილების მიხედვით, ხელისუფლებას ეზღუდება უფლება დაეშის ექვმიტანილ წევრებს გაერთიანებული სამეფოს მოქალაქეობა წაართვას. სასამართლოს განმარტებით, აღნიშნული ნაბიჯი გადადგმულია ქვეყანაში საკონცენტრაციო ბანაკებიდან რეპატრიაციის პროცესის ხელშეწყობის მიზნით.

## ესპანეთი

ესპანეთში ალჟირელი მამაკაცი ტრეფიკინგის და ტერორიზმის ბრალდებით დააკავეს. აღნიშნული პირი ეჭვმიტანილია როგორც ევროპიდან ჩრდილოეთ აფრიკაში ადამიანთა ტრეფიკინგის მიზნით გადაყვანაში, ასევე - ჯიჰადისტებისთვის ალჟირის საზღვრის უკანონოდ გადაკვეთის ხელშეწყობაში.

## გერმანია

ბერლინში დააკავეს სირიელი მამაკაცი, რომელსაც 2014 წელს დამასკოსთან ახლოს დევნილთა ბანაკში, სამოქალაქო პირების ჯგუფის მიმართულებით ბომბის სროლა ედება ბრალად.

## ავსტრია

ავსტრიის სასამართლოს გადაწყვეტილებით - მუსლიმთა საძმო ავსტრიაში არ უნდა იყოს განხილული ტერორისტულ ორგანიზაციად.

## შვედეთი

ქვეყნის პარლამენტის წევრის განცხადების მიხედვით შვედეთის ისლამური, „რომოსესკოლანის სკოლა“ უნდა დაიხუროს "ექსტრემიზმთან კავშირის" და ჯიჰადისტური იდეოლოგიის გავრცელების გამო.

## სირია

საერთაშორისო კოალიციამ დაადასტურა ინფორმაცია, სირიის დემოკრატიული ძალების მიერ დაეშთან აფილირებული ოთხი ეჭვმიტანილი პირის დაკავების შესახებ. სპეცოპერაციის ფარგლებში აქტიური როლი ითამაშეს ქურთებმა.

გაეროს გენერალურმა მდივანმა, ანტონიო გუტერეშმა უშიშროების საბჭოს ახალი ანგარიში წარუდგინა, სადაც საუბარია დაეშისგან მომავალ მზარდ საფრთხეებზე. ამასთანავე, მან ყურადღება გაამახვილა აფრიკაში დაეშთან აფილირებული ჯგუფების „საგანგაშო" გაფართოებაზე. აღნიშნულ ანგარიშში საუბარია, რომ დაეში და სხვა ტერორისტული ორგანიზაციები პანდემიას თავის სასარგებლოდ იყენებენ.

## სპარსეთის ყურე

სპარსეთის ყურის თანამშრომლობის საბჭოს (GCC) გენერალური მდივანი ნაიეფ ფალაჰ მუბარაქ ჰაჯარაფი გაეროს კონტრტერორისტული ცენტრის (UNCCT) დირექტორ ჯეჰანგირ ხანს შეხვდა. ალ-ჰაჯრაფმა დაადასტურა საბჭოს უწყვეტი მხარდაჭერა გაეროს ტერორიზმის და ექსტრემიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში.

## საუდის არაბეთი

გაეროს კონტრტერორიზმის სამუშაო ჯგუფის ხელმძღვანელმა კმაყოფილება გამოთქვა საუდის არაბეთის მიერ სირიასა და ერაყში მშვიდობის მშენებლობის პროცესთან დაკავშირებით გაწეული ძალისხმევის შესახებ.

## ეგვიპტე

ეგვიპტის შეიარაღებული ძალების პრესცენტრის განცხადებით, სინის ნახევარკუნძულზე ანტიტერორისტული სამხედრო სპეცოპერაციის ფარგლებში რვა ჯარისკაცი დაიღუპა.

## კონგოს დემოკრატიული რესპუბლიკა

კონგოს დემოკრატიული რესპუბლიკის აღმოსავლეთ ნაწილში მომხდარ თავდასხმას სულ მცირე 16 ადამიანის სიცოცხლე ესხმვერპლა. გავრცელებული ინფორმაციით, თავდასხმა ისლამისტმა ექსტრემისტებმა განახორციელეს.

## ბურკინა-ფასო

ხელისუფლების განცხადებით, აჯანყებულმა ჯიჰადისტებმა 30-მდე ადამიანი მოკლეს. დაღუპულთა შორის არიან სამოქალაქო პირებიც. მომხდარზე პასუხისმგებლობა დაეშთან აფილირებულ სამხედრო ბლოკებს დაეკისრათ.

## ნიგერი

შაბათს, ნიგერის სამხრეთ-დასავლეთ რეგიონში ტოროდის კომუნის მომმარაგებელ მისიაზე თავდასხმას 15 ჯარისკაცის სიცოცხლე ემსხვერპლა. თავდაცვის სამინისტროს მიერ გავრცელებულ განცხადებაში საუბარია ქვეყანაში აღ კაიდასთან და დაეშთან აფილირებული ტერორისტული ბლოკების ოპერირების შესახებ.

სამშაბათს კირკუკის სამხრეთით მომხდარ თავდასხმას ერაყის ფედერალური პოლიციის ორი ოფიცერი ემსხვერპლა. ერაყის პოლიციის პრესცენტრის განცხადებით, აღნიშნულ თავდასხმაზე პასუხისმგებლობა დაეშს ეკისრება.

## ავღანეთი

სამშაბათს, ქაბულის ცენტრში ავღანეთის სახელისუფლებო სამხედრო ძალებს და თალიბანს შორის შეიარაღებული შეტაკებები მოხდა. ავღანეთის შინაგან საქმეთა სამინისტრო მომხდართან დაკავშირებით დამატებითი ინფორმაციის გავრცელებისგან თავს იკავებს.

თალიბანმა ჰელმანდის პროვინციის ქალაქ გაჰში ცენტრალური სატელევიზიო არხზე კონტროლი მოიპოვა. ჰელმანდის ტელევიზიის ჟურნალისტების განცხადებით, ამ დროისათვის სატელევიზიო მაუწყებლობა დროებით შეწყვეტილია.

თალიბანის მებრძოლების მიერ ქალაქ კანდაჰარზე განხორციელებული საჰაერო თავდასხმის შედეგად მწყობრიდან გამოვიდა ქალაქის აეროპორტი.